ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

40 (9980) • 5 noemberi • 2012 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

კითხვები საკრებულოს მისამართით და შესაბამისი პასუხების მოლოდინი

ნინო ნიკოლაიშვილი

საპარლამენტო არჩევნების შემდგომ გამართული პირველი საკრებულოს სხდომა 30 ოქტომბერს ხმაურით დაიწყო. დღის წესრიგის გამოცხადებამდე დეპუტატმა ლელა ნაცვალაძემ რამდენიმე წუთი მოითხოვა განცხადებისთვის. რასაც კატეგორიულად არ დაეთანხმა ალეკო მამეშვილი. მისი თქმით, განცხადებისთვის დრო მხოლოდ დღისწესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ არსებობდა კანონის შესაბამისად და ამ სხდომაზეც ამ კანონით იხელმძღვანელებდნენ. დეპუტატისა და საკრებულოს თავმჯდომარის პოლემიკაში, რასაც უხვად ახლდა „ურთიერთეპითეტები“, დროდადრო ჯუმათის დეპუტატი, ზურაბ მექვაბიშვილი ერთვებოდა პერიოდული წამოყვირებით და ლელა ნაცვალაძეს კანონის დაცვისკენ მოუწოდებდა, „მეგობრულად“ კი მას სკანდალების მოწყობას ქუჩაში ურჩევდა და თვითკმაყოფილი სახით უფროსობასაც პერიოდულად უყურებდა ხოლმე. მომდევნო კამათი დეპუტატებისათვის ხარჯების 160 ლარიდან 500 ლარამდე გაზრდამ გამოიწვია.

ლელა ნაცვალაძე: –„თავიდანვე გასაკვირი იყო 9 მილიონიანი ბიუჯეტის დამტკიცებას 160 ლარად რომ მოაწერეს დეპუტატებმა ხელი. მე ამის შესახებ მაშინაც ვსაუბრობდით, მაგრამ რახან ჩემი ნათქვამი იყო, ამიტომ არ იქნა გათვალისწინებული. ადრე ქამრების შემოჭერის პოლიტიკით იყავით დაკავებული, ოღონდ ჩვენთვის. უკეთესი იქნება თქვენ შემოიჭიროთ ქამრები.“

ნაცვალაძემ გუნდურობის პრინციპზეც ისაუბრა და გია ტაკიძის მაგალითი შეახსენა ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს: –„გაიხსენეთ თქვენი დამოკიდებულ;ება თქვენი თანაგუნდელის მიმართ, როცა თქვენს გვერდით იყავით, თქვენი მეგობარი იყო, როცა დაიჭირეს, როგორ მიატოვეთ ყველამ.“

საკრებულის დეპუტატმა თემურ სალუქვაძემ ღირსეული გადაწყვეტილებების მიღებისკენ მოუწოდა დეპუტატებს და საკრებულოს ისტორიულ ფუნქციებზე ისაუბრა. ასევე აღნიშნა, რომ აუცილებელია პარლამენტის დეპუტატის ბიუროს მუშაობისთვის ნორმალური პირობების შექმნა და მათი ოფისის მოსაწყობად შესაბამისი თანხების დროულად გამოყოფა. მანვე დააყენა საკითხი ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის შენობის მიმდებარედ აღმოჩენილი ისტორიული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ, რომელსაც თვითნებური მიშენებების გამო ზიანი მიაყენეს.

თემურ სალუქვაძე: –„ დღეს პირველი სხდომაა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ჩვენმა საკრებულომ ისტორიული მნიშვნელობა შეიძინა. დღეს მე ბევრმა ჩემმა კოლეგამ მომილოცა ჩვენი კოალიციის გამარჯვება. კარგია, რომ ასეთი პოლიტიკური კულტურა თანდათან მკვიდრდება ჩვენში.

მე არაერთი განცხადებით მივმართე ყოფილ გამგებელს, გია ტაკიძეს, რამაზ ნიკოლაიშვილს, რომ არ იყო მათი ქმედებები სწორი და მიეღოთ ღირსეული გადაწყვეტილებები. თქვენ ბ-ნო ალეკო, სერიოზული გადაწყვეტილებების გზასაყართან დგახართ, რომ იმათ რიგებში არ აღმოჩნდეთ. მინდა ასევე ჩემს კოლეგებს მივმართო, ვიყოთ ღირსეულნი. კარგად დავფიქრდეთ, ბრმად კი არ უნდა დავუჭიროთ მხარი დეპუტატთათვის ხარჯების გაზრდას, უმჯობესია, ჯერ სწორი გადაწყვეტილებები მივიღოთ და დავამტკიცოთ, რომ დეპუტატები იმსახურებენ ამას, და დღეს ამის შანსი ყველა დეპუტატს აქვს. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ აუცილებელია დეპუტატის ბიუროსთვის შესაბამისი ოფისის მოსაწყობად თანხების დროულად გამოყოფა, რათა მათ მიეცეს ნორმალური პირობები მუშაობისთვის.

გულისტკივილით მინდა აღვნიშნო იმ არაკვალიფიციური გადაწყვეტილების შესახებ, რომელმაც დაზიანა ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობა. სრულიად არაკვალიფიციურად ჩაისხა ბეტონი თითქოსდა მის დასაცავად, მივიღეთ ცუდი ფაქტი. უცილებელია დროულად მოვიწვიოთ სპეციალისტები და მათი რეკომენდაციებით შესრულდეს შესაბამისი დამცავი სამუშაო.

დეპუტატთათვის ხარჯების გაზრდაზე ისაუბრა ლევან ნინიძემ: –„ხელფასი არა მარტო შრომის ანაზღაურებაა, ავტორიტეტიცაა. დეპუტატი მარტო იმისთვის კი არ არის, რომ სხდომაზე ხელი ასწიოს მხოლოდ, მას სოფელში ავტორიტეტი უნდა ჰქონდეს. რა ავტოპრიტეტზეა საუბარი, როცა სოფლის რწმუნებულს ათას ლარზე მეტი აქვს ხელფასი. დეპუტატის ხარჯები კი მიზერულია.

მიუხედავად ხმაურისა, საკრებულოს თავმჯდომარემ აქტიური მუშაობისკენ მოუწოდა დეპუტატებს 2013 წლისთვის უკეთესი ბიუჯეტის მისაღებად. რასაც თემურ სალუქვაძის რეპლიკა მოჰყვა – რა თქმა უნდა ჩვენი ძალა უკვე მოსულია ხელისუფლებაში და 2013 წლის ბიუჯეტი ისეთი სახით არ დამტკიცდება, როგორც წინა წლებში იყო.

წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ თავისი მოსაზრება გამოთქვა თამაზ ტრაპაიძემ და აღნიშნა, რომ დასამტკიცებლად გამზადებული პროექტი საბოლოოდ დახვეწილი უნდა იყოს. –„როცა საუბარია წარმოდგენილი პროექტის ირგვლივ შემოსული წერილების რეაგირების საჭიროებებზე, ასეთი პროექტი როგორ შეიძლება გადაეცეს დასამტკიცებლად. მისი დამტკიცება მხოლოდ საბოლოო დახვეწის შემდეგ შეიძლება. ასევე, როცა საუბარია დეპუტატების ხარჯების 200% -ით მატებაზე, ამას სერიოზული დასაბუთება სჭირდება. შეიძლება დაისვას ასეთი კითხვაც – რატომ ადრე 140 ლარი და ახლა 500, იქნებ მეტია საჭირო.

სხდომის ბოლოს ლელა ნაცვალაძეს განცხადების შესაძლებლობა ბიეცა –„ ხელისუფლების წარმომადგენლები იმ რეალობას ვერ შეეგუენ, რასაც ქართული ოცნების გამარჯვება ჰქვია და დღესაც ოცნებობენ. მიმდინარეობს ზეწოლა, არ დატოვონ საკრებულოს უმრავლესობა. საკითხავია, ვინაა დღეს ოპოზიცია და ვინ აღმოჩნდება დამნაშავის სკამზე. უკვე განვითარებული მოვლენების შემდეგ, თქვენ, ბატონო ალეკო არ გაქვთ მორალური უფლება დარჩეთ მაგ სკამზე. უმჯობესია, მოიკრიბოთ გონიერება დატოვოთ პოსტი და არ დაიწყოთ იმათი გაკიცხვა, ვინაც დატოვა უმრავლესობა.

სანდრა რულოვსმა ოზურგეთელ მოსწავლეებს და მასწავლებლებს ლეპტოპები გადასცა

გაზეთი „ალიონი“

2 ნოემბერს, საქართველოს პრეზიდენტის მეუღლე სანდრა ელისაბედ რულოვსი ოზურგეთს სტუმრობდა. მან ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში რამდენიმე მოსწავლეს და მასწავლებელს ლეპტოპები გადასცა.

როგორც ადრე, ამჟამადაც ამ ღონისძიებას ჟურნალისტები არ დასწრებიან.

გაზეთ „ალიონის“ ჟურნალიტს, პრეზიდენტის მეუღლის დაცვამ ქალბატონ სანდრას შენობიდან გამოსვლისას სურათების გადაღება აუკრძალა.

–თქვენს გარდა აქ სხვა ჟურნალიტს ხედავთ, სურათის გადაღება პრესსამსახურს უნდა შეათანხმოთ –ასეთი იყო დაცვის პოზიცია.

ქალბატონი სანდრას გამგზავრების შემდეგ გაზეთი „ალიონი“ შეეცადა გაერკვია, თუ რისთვის დააჯილდოვეს მოსწავლეები და პედაგოგები.

ქალბატონ სანდრას წარმომადგენელმა ოზურგეთში გელა ცეცხლაძემ გვითხრა, რომ არჩევნებამდე არაერთმა ოზურგეთელმა ბავშვმა მისწერა წერილი სანდრას კომპიუტერის თხოვნით. მთხოვნელთა რიცხვში პედაგოგებიც იყვნენ. მე პირადად გადავამოწმე ამ ბავშვების სოციალური მდგომარეობა, ამასთანავე როგორ სწავლობდნენ სკოლებში და სია მივაწოდე. ამ ბავშვებმა ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში უფასოდ გაიარეს კომპიუტერის შემსწავლელი კურსები. ამ სიაში ცხრა მოსწავლე და ორი პედაგოგია. დღეს ქალბატონმა სანდრამ ისინი თავად დააჯილდოვა.

შეხვედრის ადგილობრივ ორგანიზატორებს დაჯილდოებულთა სახელები და გვარები ამ ეტაპზე არ დაუსახელებიათ.

ლელა ნაცვალაძის განცხადებაზე საკრებულოს თავმჯდომარემ კომენტარი გააკეთა

ალეკო მამეშვილი: მე ვარ მოსახლეობის უმრავლესობისგან არჩეული დეპუტატი და დეპუტატების უმრავლესობისგან არჩეული საკრებულოს თავმჯდომარე. მიმაჩნია, რომ ჩემი მუშაობის პერიოდში განხორციელდა ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი, არ შემოსულა მოსახლეობის საჩივრის წერილები და ჩემი მუშაობა შესაბამისად იყო დადებითი, ამიტომ ლელა ნაცვალაძის განცხადებაზე მე რეაგირებას არ ვაპირებ და რა თქმა უნდა არსად არ ვაპირებ წასვლას.

რაც შეეხება ისტორიული მემკვიდრეობის საკითხს, ჩვენ მივიწვევთ სპეციალისტებს და დროულად მოვიძიებთ თანხებს მის დასაცავად.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, +14+25

5 ნოემბერი, ორშაბათი

მზე, +15+25

6 ნოემბერი, სამშაბათი

მზე, ღრუბელი +15+21

7 ნოემბერი, ოთხშაბათი

წვიმა +13+22

8 ნოემბერი, ხუთშაბათი

მზე, ღრუბელი +9+24

9 ნოემბერი, პარასკევი

მზე, ღრუბელი +12+24

10 ნოემბერი, შაბათი

მზე +15+22

11 ნოემბერი, კვირა

საჯარო მოხელეებს ხელფასს უზრდიან

ნუგზარ ასათიანი

როგორც ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატის თანამშრომლებს 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ გაურკვეველი „დამსახურებისათვის“ ათასობით ლარი პრემია დაურიგეს.

დღეს კი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სხდომაზე სხვა საკითხებთან ერთად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების, ხოლო შემდეგ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ჯერ საკრებულოს და შემდეგ გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს დამტკიცებაზე იმსჯელეს.

საკრებულოს დეპუტატების ნაწილი სხვადასხვა აიპებ-ში არიან დასაქმებულნი და ხელფასთან ერთად საკრებულოდან 160 ლარს იღებდნენ, ამიერიდან ისინი 500 ლარს მიიღებენ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელმა თამაზ ტრაპაიძემ გამოთქვა აზრი, რომ, ასე, სერიოზული დასაბუთების გარეშე, დეპუტატებისათვის ერთბაშად ანაზღაურების 200 პროცენტით გაზრდა გაუმართლებელია.

მნიშვნელოვნად იზრდება მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის თანამშრომელთა ხელფასები.

ყოველთვიურად 2650 ლარ ხელფასს მიიღებენ მუნიციპალიტეტის საკრებულის თავმჯდომარე და გამგებელი; საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე –1700, ხოლო გამგებლის მოადგილეები 1300 ლარს; აპარატის უფროსები –1000 ლარს; უფროსი საჯარო თანამდებობის პირები საკრებულოში 790 ლარს, ხოლო გამგეობაში–810 ლარს;

უმცროსი საჯარო თანმდებობის პირები 560 ლარს; დამხმარე მოსამსახურეები (ქსელური მომსახურების ადმინისტრატორი, მდივანი, კურიერი, მძღოლი)–560 ლარს; დამლაგებელი–350 ლარს.

როგორც საკრებულოს დეპუტატმა ლელა ნაცვალაძემ აღნიშნა, იგი ახალი მოწვევის საკრებულოს ფუნქციონირების დაწყებიდან აყენებდა საკითხს, დეპუტატებს შექმნოდათ მუშაობის პირობები, მაგრამ ამ საკითხს იგნორირებას უკეთებდნენ. რაც შეეხება მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა ხელფასების ზრდას მისი აზრით ეს გაუმართლებელია.

მარინა სუნგულია, *საქართველოს რესპუბლიკური პარტია, კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი:* –დეპუტატებისთვის თანხის გაზრდა ამჟამად არის პოლიტიკური პროცესი, ასე სიცოცხლის გახანგრძლივებას ცდილობენ, რათა არ დაეშალოთ საკრებულო და მეტი ადამიანი შეინარჩუნონ გუნდში. ასე პროცესი გახანგრძლივდება. როგორია აგონიაში მყოფი ადამიანების განწყობა-ხავსს ეჭიდებიან, ფიქრობენ რომ დროის გახანგრძლივების შემდეგ, შეიძლება რაღაცას „გამოჰკრან" ხელი, რაღაცამ გამოანათოს. შექმნეს გარემო და აჟიოტაჟი, რომლის გავლენასაც თვითონ განიცდიან. არის გამონათქვამი „ყველაზე კარგი აფერა არის ის, რომლისაც თვითონაც გჯერა“.

რაც შეეხება საჯარო მოხელეების ხელფასების ზრდას, ამ ხელისუფლების ყველა ნაბიჯი ემსახურება მათივე კეთილდღეობის მოწყობას. ეს არის უზნეობა იმ გაჭირვების ფონზე, რომელიც დღეს არის ქვეყანაში და ოზურგეთში. ხალხს წამალი რომ იყიდონ იმის ფული არ აქვთ. უარს ეუბნებიან გაჭირვებულ ადამიანს 50 ლარიან დახმარებაზე. ამ ფონზე შენ აიღო 2000 ლარი ხელფასი ან პრემია, ცოტა კი არა, დიდი უზნეობაა.

უნდა აღდგეს

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები წარმოადგენენ იმ ადამიანებს, რომლებიც ფაშიზმთან ბრძოლებში სიცოცხლეს არ იშურებდნენ ომში გამარჯვებისათვის. ზურგში დარჩენილები კი დღედაღამ შრომობდნენ, მათი საბრძოლო მასალების შესაძენად საჭირო თანხებითა და სურსათით მომარაგებისათვის.

სწორედ ვეტერანებისა და პენსიონერების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით და მათი მომსახურების გათვალისწინებით, საქართველოს კონსტიტუციის, „პროფკავშირების შესახებ“ საქართველოს კანონისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 87-ე კონვენციის საფუძველზე, 2000 წლის მაისში, პენსიონერთა და ვეტერანთა პირველ ყრილობაზე დაფუძნდა მათი პროფესიული კავშირი, რომლის წესდებისა და რესპუბლიკური საბჭოს დადგენილების საფუძველზე ყველა ქალაქში, დაბაში, სოფელში შეიქმნა ვეტერანთა და პენსიონერთა პროფკავშირული ორგანიზაციები. ასე ჩამოყალიბდა ორგანიზაცია ბაილეთშიც, რომელშიც 240 კაცი იყო გაწევრიანებული. ისინი ორგანიზაციის შექმნით კმაყოფილებას გამოხატავდნენ. საწევრო ანარიცხი 1 ლარი იყო წელიწადში. ეს მცირე თანხა ეკონომიურად შეჭირვებულ წევრებს უნაწილდებოდათ. ვფიქრობდით, მომავალში მეტს გავაკეთებდით, მაგრამ მეოთხე წელიწადს პროფკავშირი, როგორც ორგანიზაცია დაიშალა.

საჭიროდ მიგვაჩნია:

1. აღდგეს ვეტერანთა და პენსიონერთა პროფესიული კავშირი;

2. II მსოფლიო ომში სოფ. ბაილეთიდან 210 კაცი გაიწვიეს, საიდანაც ფრონტზე 106 კაცი დაიღუპა. სახლში დაბრუნდა 104 კაცი, რომელთაგან დღეს არცერთი არაა ცოცხალი. მეტნაკლებად ანალოგიური მდგომარეობაა სხვაგანაც. ამიტომ კარგი იქნება, თუკი მკურნალობასთან ერთად, რაც სადაზღვევო სისტემით არის გათვალისწინებული, ექნებათ სხვა სახის დახმარებებიც, როგორც ფულადი, ისე ნატურის სახით;

3. შესაძლებლობის ფარგლებში გამოეყოთ უფასოდ სანატორიუმების და დასასვენებელი სახლების საგზურები;

4. სოფლად მცხოვრები ვეტერანების (მათ შორის გარდაცვლილთა) ოჯახებს სახელმწიფო დაეხმაროს უფასოდ დახვნა-დათესვაში, გადასცენ შესაბამისი რაოდენობის მინერალური სასუქები;

5. ყოველწლიურად დამატებით გაუწიონ ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 ლარის ოდენობით;

6. გათავისუფლდნენ ყოველგვარი გადასახადებისგან;

7. მოხდეს მათი მთავრობის ჯილდოებით წახალისება.

ომისა და შრომის ვეტერანები მეტ ყურადღებას საჭიროებენ.

ამირან მამულაიშვილი.

როდის დამთავრდება საბავშვო ბაღის რემონტი?

გაზეთი „ალიონი“

ეს კითხვა აწუხებს მშობლებს, პედაგოგებს და პატარა ბავშვებს, რომლებიც ქ. ოზურგეთის №3 საბავშვო ბაღში გაჭიანურებული რემონტის დამთავრებას ელოდებიან.

ალბათ ამ კითხვის მიზეზი იმ ტენდერის წესში უნდა ვეძიოთ, რომლითაც არა მშენებელი ფირმის რეპუტაციას ეძიებენ, არამედ იმას, თუ რომელი შესთავაზებს სატენდერო კომისიას იმაზე ნაკლებს, რაც სატენდერო თანხით იყო გათვალისწინებული.

№3 საბავშვო ბაღის რემონტისათვის სატენდერო თანხა 268. 800 ლარს შეადგენდა. ტენდერში სამშენებლო ფირმა „ბათუმმა“ გაიმარჯვა, რომლის სატენდერო თანხა 225 522 ლარს შეადგენდა. დაიწყეს სამუშაოები, ხან ჩერდებოდნენ, პირობას იძლეოდნენ სარემონტო სამუშაოებს 1 ოქტომბრამდე აუცილებლად დაასრულებდნენ. თუმცა დადგა ნოემბერი და ბაღი არ ამოქმედებულა.

ამ ბაღში 180 გოგო-ბიჭმა უნდა იჟრიამულოს. ჯგუფებში ბავშვების რაოდენობა ბევრი იყო და ერთი დამატებითი ჯგუფი გახსნეს. საარჩევნოდ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერების დასაქმების „პროგრამით“ აქ 5 ახალი თანამშრომელიც მიიღეს.

ნინო მშვიდობაძე, *№3 ბაღის მენეჯერი:* –მთელი კოლექტივი შენობას ვალაგებთ. ჩვენ მზად ვართ ბაღის გასახსნელად, მაგრამ არც წყლის და არც გაზის პრობლემა არ გვაქვს მოგვარებული. ძველი ავეჯი სხვადასხვა ადგილას გვქონდა შენახული და ახლა მოვიტანეთ.

მაკა ჭყონია, *ა(ა)იპ ბაღების გაერთიანების*

დირექტორი:–მშენებლობა ძირითადად დასრულებულია. ეგაა, რომ გაზის და წყლის პრობლემაა მოუგვარებელი. მშენებელმა წყალიც რომ შეიყვანოს, ჩვენ არ დაველოდებოდით ბუნებრივი აირის მილების მონტაჟს. ბალონებით შევუძენდით ბუნებრივ აირს. მშენებლებზე ვართ დამოკიდებულნი.

–ჩვენ ვიცით, რომ ადგილობრივი მთავრობა თქვენ ახალი ავეჯის შეძენას გპირდებოდათ?

–კი, იყო შეპირება, ერთი ჯგუფისთვის 6 ახალი მაგიდაც შეგვიძინეს, მაგრამ ეტყობა დანარჩენი ვერ მოახერხეს.

–ახალი ჯგუფის გახსნისა და თანამშრომლების დამატების გამო ამ ბაღის დაფინანსება თუ გაიზარდა?

–ბაღში ბავშვების კონტიგენტი იგივე რჩება. რაც შეეხება თანამშრომლებს, ჩვენ ძირითადად არსებული კადრები გადავანაწილეთ. ახალი 2 თუ 3 თანამშრომელი დავამატეთ.

–თავად რემონტის ხარისხი როგორია?

–ყველაფერი სტნდარტების დონეზეა.

ბუნებრივია, დაგროვილ კითხვებზე მუნიციპალიტეტის გამგეობას უნდა ეპასუხა. გამგებლის მოადგილე **მიხეილ გოგოტიშვილი** ვნახეთ. მან „დახმარებისთვის„ გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი **მერაბ წივწივაძე** მოიწვია და ერთობლივად გაგვცეს პასუხები.

-ტენდერი „ბათუმმა“ მოიგო (სამუშაოთა

მწარმოებელი ზებურ დემეტრაძე) ჩვენი პირობა იყო, თანხას მშენებლობის დასრულების შემდეგ ჩავურიცხავდით. პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ თანხა გადავურიცხეთ. ტენდერიდან ნარჩენი თანხით (40 800 ლარი), ეზოს კეთილმოწყობის და წყლის და გაზის შეყვანის სამუშაოები უნდა შეესრულებინათ. გუშინ (საუბარი 2 ნოემბერს შედგა) გადავურიცხეთ II ეტაპის თანხა. მილები და სხვა სამშენებლო მასალები შემოტანილი აქვთ.

–თუ ყველაფერი წესრიგში იყო, რატომ გაჭიანურდა სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოები?

მერაბ წივწივაძე: –პრობლემები ჰქონდათ. მუშები გაექცათ (?!) შეჩერდნენ, შემდეგ ახალი მუშახელი მოიყვანეს.

–სატენდერო წინანდადება სანქციებს ითვალისწინებს?

–ვადაზე ყოველ გადაცილებულ დღეზე გარკვეულ საჯარიმო თანხას იხდიან.

ჩვენ ვაკონტროლებთ, რომ სამუშაოები ხარისხიანად შესრულდეს...

დაგვაინტერესა, რამდენად ხარისხიანად ჰქონდათ მშენებლებს სამუშაოები შესრულებული. შიდა სამუშაოებს არაუშავს, მაგრამ გარედან კედელს ხელი როგორც კი შევახეთ, გაჯი ჩამოიშალა.

საჯარიმო სანქციები ამ საქმეს ვერ უშველის. მშენებლებს პასუხს ვინ მოსთხოვს?

გასწორება

გაზეთ „ალიონის“№38-39-ში დაიბეჭდა წერილი სათაურით „რა მოხდა ოზურგეთის სამრევლო სკოლაში,“სადაც მოხსენიებულია მამა იოანე (კიკვაძე), უნდა იყოს მეუფე იოანე (გამრეკელი), რომელიც რუსთავისა და მარნეულის მიტროპოლიტია და საპატრიარქოს განათლების ცენტრის თავმჯდომარე.

დაშვებული უზუსტობისთვის რედაქცია იხდის ბოდიშს ამ სასულიერო პირების წინაშე.

დუმილით ღმერთს ვლალატობთ!

გრიგოლ ღმრთისმეტყველი

კათოლიკოს პატრიარქი ლეონიდე (ოქროპირიძე) თამარ მეფის შესახებ გვიამბობს: „თამარმა მოინვია კრება კათოლიკოს ნიკოლოზის თავმჯდომარეობით, რომელსაც ესწრებოდ–ნენ მთელი სამეფოს ეპისკოპოსნი, მონაზონნი, მეუდაბნოენი, საღვთო რჯულის მცოდნე პირე–ბი. იგი შევიდა კრებაზე, სიმდაბლით ეამბორა მამებს, როგორც უბრალო პიროვნება და შემდეგ ასეთი სიტყვებით მიმართა მათ: „ნმიდანო მამანო, თქვენ დადგენილი ხართ ღვთისაგან მოძღვრებად და გამგებლებად ეკლესიისა. თქვენ მოგთხოვთ ღმერთი პასუხის გებას ჩვენი ცხოვრების შესახებ. მიაქცეთ მკაცრი ყურადღება ქრისტიანთა ცხოვრებას: კეთილი მხარე ამ ცხოვრებისა განამტკიცეთ, ხოლო რაც უგვანო და ბოროტი არის მასში, უსათუოდ მოსპეთ და სასტიკად აკრძალეთ დადგენილებით. გასნორება ინყეთ ჩემითგან, რადგან სიდიდეს ვატარებ მეფობისთვის და არა ღვთის საგმობად. ნუ მოერიდებით მთავრებს, მათი დიდკაცობის გამო და ნურც უბრალო პირებს შეურაცხყოფთ მისთვის, რომ ისინი უბრალონი არიან. თქვენ კეთილი დადგენილებანი მოახდინეთ და მე მათ შესრულებაში დაგეხმარებით; თქვენ სნავლა მოგვცეთ და მე თქვენ სნავლას შევითვისებ და სხვასაც შევათვისებ; თქვენ მაგალითი დაგვიყენეთ ნინ და მე მის განხორციელებას ვიდებ თავს სარნმუნოების დაცვაში, რომ არ ჩავარდეთ ღვთის პასუხისგებაში, თქვენ, როგორც მღვდლები, მე, როგორც მეფე, თქვენ, როგორც უფროსი გამ–გენი, მე, როგორც უბრალო მოდარაჯე.

მაინც რა არის დუმილი?–ჩუმად ყოფ-ნაო!–ასეთ ახსნას სულხან-საბა გვაძლევს!

არის ასეთი შეგონებაც: **„დიდი ძალა აქვს ადამიანს, რომელსაც გაჩერება შეუძლია, როდე-საც მართალია.“**

მაგრამ ვართ ასეთი ძალისანი? თუმცა, 2006 წლის 22 იანვრის შემდეგ, როცა ერმაც და ბერმაც სახლის პატიმრობისათვის გამიმეტა, ჩემს გაუსაძლის ტკივილზე ხმა არ ამომიღია. ვესაუბრებოდი და ვესაუბრები უფალს, ღმრთის მშობელს, მფარველ ანგელოზს და... თანმდევად გავიხადე სტრიქონები: „გაუმაძღარო, ხარბო სულო, შენ იმდენს ითხოვ, კაცს კი არადა, მზეს არ აქვს მაგხელა სითბო.“

ვიყავი ჩუმად 2009 წლის ათ ნოემბრამდე, მაგრამ ერთი ოჯახის რამდენიმე წევრმა სიმართლის ძებნაში დახმარება რომ მთხოვა, შემოქმედელ მიტროპოლიტ იოსებს შეხვედრა ვთხოვე.

რას და ვის ეხებოდა საუბარი, ეს ამ ფურცლისთვის არაა განკუთვნილი. ჩემთვის ტკივილით მოსასმენი ის იყო, არც თუ სასი-ამოვნო საუბრის შემდეგ, მიტროპოლიტმა კითხვა რომ დამისვა:

–მოძღვარი ასეთი წერილების წერას არ გიშლით?

–რატომ წერთ, ეთერი დეიდა, ასეთ წერ-ილებს?–დაინტერესდა ერთი მონაზონი.

–ტყეილს ვწერ თუ სიმართლეს? – დავაბრუნე კითხვა.

–სიმართლეს!–იყო პასუხი.

–მაშინ მოძღვარი სიმართლის წერას როგორ დამიშლის?! ღმრთისმსახურებმა ხომ ჩემზე უკეთ იცით, რას ნიშნავს დავით მეფ-სალმუნის შეგონება: „ ვიდრემდის მოიქცეს სიმართლე განკითხვად?“

...ტკივილით სავსემ დავტოვე რეზიდენცია.

„ნუ იქნები ზედმეტად მართალი და მეტისმეტად ნუ დაბრძენდები, რად გინდა რომ შეძრწუნდე?!“–გულში რამდენჯერმე გავიმეორე „ეკლესიასტეს“ ეს შეგონება.

ზედმეტად მართალი?–ღმერთო შემინდე!

...მწვალებელი სიმართლისაგან მინდოდა გათავისუფლება. ვინ შეძლებს დამეხმაროს? –შვებისათვის წმიდა წერილს მივმართე. რამ-დენჯერმე წავიკითხე იოანეს სახარება. სიტყვებმა „შიშისათვის ჰურიათა,“ისევ დამანახ-ვა ჯვარცმული უფალი. დიახ, ურიათა შიშით ვერავინ შეძლო სიმართლის თქმა. უარესიც, ქრისტეს ერის მაცდუნებელიც უწოდეს!

დღეს ვისი და რისი შიშით ვერ ვბედავთ სიმართლის თქმას?–ისევ არ მაძლევდა ფიქრი მოსვენებას, ამიტომ ამოვიწერე სახარებიდან ეს შეგონება და რამდენიმე მღვდელს გავუგზავნე (ზოგსაც თავად მივეცი)...

კარგა ხანს ველოდი მათგან პასუხს, მაგრამ...დუმილის ფარდა იფარეს, არადა, მაშინ სიმართლის თქმა, რამდენს მოგვცემდა შვებას.

წყენა წყალზე დაწერე!–გვმოძღრავს წმიდა ისიდორე. მადლობა უფალს, რომ ეს შემაძლებინა, მაგრამ სიმართლე ჩუმად რომ ყვირის? ასეთი სიჩუმის მოსმენა უნდა შეგვეძლოს, მით უფრო მოძღვრებს, რომლებსაც ბევრს ავალებს იოანე მოციქულის ეს შეგონება: „ნუ ვიყუარებთ სიტყვათა ხოლო, ნუცა ენითა, არამედ, საქმითა ჭეშმარიტებითა.“

რამ გამახსენა წლებში ჩატეულით ტკივილი?–თითქმის, არდასაჯერებელმა ამბავმა: მიტროპოლიტი იოსები საქართველოს საპა-ტრიარქოს წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახ-ელობის ოზურგეთის სამრევლო სკოლის დირე-ქტორს, დეკანოზ მათე გორდელაძეს დირექ-ტორობის თანამდებობიდან ათავისუფლებს!

მამა მათე!–წლებია მოწიწებით წარმ-ოვთქვამ ამ სახელს.

მამა მათე ის მოძღვარია, რომელმაც პირველმა შემიყვანა სულიერ ცხოვრებაში. მე, წლების მანძილზე ვხედავდი, როგორ იღვწოდა და შრომობდა წმიდა მოწამეთა კვირიკეს და ივლიტას სახელობის ტაძრის მრევლის სულიერი ამაღლებისათვის...

დღეს მე მისი სულიერი შვილი არ ვარ, მაგრამ როგორი დარჩა ჩემში?–ჭირსა და ლხინში გვერდში მდგომი, ავადმყოფის, გაჭირვებულის, პატიმრის თანამდგომი, მისაბაძი შვილი და მამა, მრავალშვილიანი ოჯახის თავკაცი და მოწყალე!

მამა მათემ პირველმა გამაბედინა მემუშავა საეკლესიო წიგნის „სჯულის კანონ-ის“ გამოცემაზე.

მახსოვს, როგორ ერთი ოჯახივით იყო ჩვენი მრევლი შეკრული. ხშირად უთქვამს მამა ნიკოლოზ ღლონტს: „ეთერი, თქვენთან მოსვლა ძალიან მიყვარს. მამა მათეს კარგი მრევლი ჰყავს.“

ჩვენს მრევლს ხშირად სტუმრობდნენ ბათუმ-შემოქმედელი ეპისკოპოსები კონსტან-ტინე (მელიქიძე, უფალმა ნათელში ამყოფოს); იობი (აქიაშვილი –უფალმა დიდხანს გვიცოცხ-ლოს). ისინი სიხარულით აღნიშნავდნენ მამა მათეს ღვაწლს მრევლის სულიერ ამაღლებაში

მერეც, ბევრისგან კარგი მესმოდა და მესმის მის შესახებ. უყვარს მრევლს, პედაგოგებს, მშობლებს, მოსწავლეებს, მოძღვრებს...

ასეთი პიროვნება მუდამ გვერდით უნდა გვყავდეს!–დირექტორობიდან გათავისუფლება?!

მიზეზმა გამაოგნა: დეკანოზი მათე უმაღლესდამთავრებული არაა!

უფლის მოწაფეები გამახსენდა, წმი-დანებიც...მათ გონება უფალმა გაუხსნა.

დიპლომი? რამდენი დიპლომიანი უმე-ცარი გვყავს, ნაკითხნი და მაინც არმცოდნენი, გულგრილნი, ბილწსიტყვეობასთან დამეგობრე-ბულნი... მამა მათე კი...სიღრმისეული გონებით, გონიერი გულით არის გამორჩეული! თანაც, როგორ აიხსნება ის, რომ „უმაღლესდა-უმთავრებლობა“ 16 წლის შემდეგ გვახსენდება?!

ბევრი, მიტროპოლიტ იოსების სიტყვიერ გაფრთხილებას დირექტორობიდან მამა მათეს გათავისუფლების შესახებ, საარჩევნოდ მის მიერ გამოთქმულ თავისუფალ აზრს უკავშირებს (?!)...

თუმცა,–მთავარი: მამა მათე იყო და არის სამრევლო სკოლის დირექტორი.

სიმართლე არასდროს არა მარტო! სიმართლე, ჟამთან ერთად, გამარჯვების წილხვედრიცაა! ახლაც გაიმარჯვა!

ეს როგორ და ვისგან მოხდა? –არავი-სთვის მიკითხავს, ჩემთვის მთავარი იყო და არის ის, რომ ვიღაცამ გაისიგრძეგანა ესაია წინასწარმეტყველის შეგონება: **„ნუ დააყოვნებ სიტყვას საჭიროების ჟამს“** და... სათქმელი ითქვა! შედეგი სახეზეა!

რატომ დავწერე ეს წერილი? –ჩემი უკმაყ-ოფილების და კმაყოფილების დასტურად. მე, წლების წინ ვთხოვე ღმრთის მსახურებს სიტყვიერი დახმარება! ყველამ დუმილის ფარდა იფარა! რატომ? – არ ღირდა ჩემთვის (არა, ეს მარტო ჩემთვის არ იყო) ხმის ამოღება?

ახლა ხმამაღლა ვკითხულობ: რატომ და რისთვის ვჩუმდებოდით და ვჩუმდებით?! რამ-დენი უხერხული სიტუაცია შექმნა ასეთმა სიჩუმემ...თუნდაც, რამაზ ნიკოლაიშვილის სიტყ-ვა-პასუხი გავიხსენოთ (მოქმედებაზე აღარას ვამბობ), ხომ ახდენდა ეს მრევლზე უარყოფით გავლენას?

ისევ მინდა ტკივილიან თემას შევეხო, უფრო სწორად, ხათუნა ცერცვაძის შესახებ მინდა ვთქვა: ხომ ყველა ხედავს, როგორი დამოკიდებულება აქვს მრევლთან, საზოგადოებასთან, პრესასთან (არაფერს ვამბობ სამღვდელოებაზე).

ხათუნას, თურმე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური აბარია (აღარ გავ-იხსენებ, წლების წინათ, რეზიდენციაში, მიტრო-პოლიტ იოსების თანდასწრებით რაც ხათუნას ვუთხარი).

ვისთან და როგორ საზოგადოებასთან აქვს ხათუნას ურთიერთობა? მე, როგორც ჟურ-ნალისტი, მედიის (ზოგიერთის გამოკლებით) წარმომადგენლებთან მისი ურთიერთობით გაკვირვებული ვარ (ვითომ, მარტო მე?!). ახლაც ნახეთ მისი პასუხები გაზეთ „გურია ნიუსის“ ჟურნალისტთან: „ეგ საქმე ჩვენი გასარკვევი არაა“... „კომენტარს არავინ არ გააკეთებს“...,ეგ თქვენი გასარკვევი არაა“... „გასაგებია?!“(ეს ბოლო სიტყვაც რამდენს ამბობს)!

ვინც ხათუნას ოდნავ იცნობთ, ამ სიტყვე-ბის წარმოთქმისას მის ტონსაც შეიგრძნობთ და სახესაც წარმოიდგენთ!

ამიტომ ვსვამ ხმამაღლა შეკითხვას: ასეთი პიროვნება შვენის გურიის ეპარქიას და რეზი-დენციას?!

დუმილით ღმერთს ვლალატობთ! –ასე გრიგოლ ღმრთისმეტყველი ბრძანებს!

მადლობა უფალს, რომ მამა მათეს შემთხვევაში დუმილი დაირღვა!

მართლაც დიდი ძალა აქვს მართლის მართალ სიტყვას. ილია მართალიც ხომ ასე ბრძანებს: **„სიტყვა ხმალზეც უფრო სჭრის და ზარბაზანზეც უფრო ძლიერ მოქმედებს. სიტყვა ძალა და ძლიერებაა.“**

ეთერ ქადეიშვილი.

მინაწერი: წამით მინდა მივყუჩდეთ და...თამარ მეფის ხმა გავიგონოთ! ეს ხმა, ჩვენს სულსა და გულს, დიდი წმიდანის დაკარგული საფლავიდან უნდა მოწვდეს! გავიაზროთ თამარ მეფის ვედრება, ერმა და ბერმა გავისიგრძეგანოთ მისი სიტყვა და მნიშვნელობა და...

ამით უფლის ხმას მოვუსმენთ! მოვუ-სმინოთ საეკლესიო ზარის ხმას, რომლის შესახებ დიდი მწერალი ლევან გოთუა ასე ამბობს: ზარის ხმა–ვერცხლის ენაზე ახმიანებუ-ლი ლოცვა!

ლოცვა სულიერი სიმშვიდეა!

უფალო, შეგვაძლებინე გულწრფელი ლოცვის მადლი!

ეს წერილი ტკივილით დაიწერა! გმად-ლობთ, თუ ეს ტკივილი გაიზიარეთ!

შენდობას გთხოვთ!

ღმერთს ვებარებოდეთ!

წმიდა მამათა შეგონებანი

მრავლის შეცნობა ადამიანს წუხილს უმრავლებს.

„ეკლესიატე.“

წყენა წყალზე დაწერე.

წმიდა ისიდორე.

მიკერძოება უცხოა ღმრთისთვის.

„რომაელთა.“

ნუ მისდრკები მარჯულ, ნურცა – მარ-ცხულ, არამედ გზასა სამეუფოსა ვიდოდეთ.

„მეორე მსაჯულა.“

<u>ნუ სჯით თვალ–აღებით, სამართალი სასჯელით საჯეთ.</u>

იოვანე 7, 24.

<u>გულის</u> წერომამან კაცისამან სიმართლე ღმრთისაი არა ქმნის.

იაკობ მოციქული.

არაფერია უსამართლობაზე უარესი.

ბერი პაისი.

ნუ ვიყუარებთ სიტყვითა ხოლო, ნუცა ენითა, არამედ საქმითა და ჭეშმარიტებითა.

იოანე მოციქული.

სამწუხაროდ ახლა ისეთი დრო დადგა, როცა უხნეობა ცოდვად აღარ მიაჩნიათ.

ილია მეორე.

ნუ დააყოვნებ სიტყვას საჭიროების ჟამს.

ესაია წინასწარმეტყველი.

ზედმეტი ფიქრი სხეულს ამძიმებს.

„ეკლესიატე.“

განუდექი უსამართლობას და ისიც მიიქცევა შენგან.

„ზირაქის სიბრძნე.“

ეური სასმენად გვაქვს, თვალი–დასანახად, სინდისი კი–გასაფრთხილებლად

იოანე ოქროპირი.

არა ვიდოდე მე მდიდართა თანა, არცა უსაკვირველესთა ჩემთანა თანა.

კანონი, 18, 130,1

არ უნდა შეასრულო მთავრობის ის მოთხოვნილება, რომელიც რწმენის საქმეში სინდისზე ძალადობს.

პეტრე მოციქული.

სიტყვა ხმალზედ უფრო სჭრის და ზარბაზანზედ უფრო ძლიერ მოქმედებს, სიტყ-ვა ძალა და ძლიერებაა.

ილია მართალი.

ვიდრემდის მიიქცეს სიმართლე განკითხვად?

დავით მეფსალმუნე.

ოზურგეთის სამხატვრო სკოლა ჰონგ-კონგის ფესტივალისთვის ემზადება

ჩეხეთის რესპუბლიკის ქალაქ ლიდიცეს ფესტივალში წარმატებით მონაწილეობამ ოზურგეთის სამხატვრო სკოლას ახალი ასპარეზი გადაუშალა. ამ ზაფხულს მათ მიწვევა ჩინეთის რესპუბლიკის ქალაქ ჰონგ-კონგიდან მიიღეს.


ეთუნა კონტრიძე

კახა ვასაძე, *ოზურგეთის სამხატვრო სკოლის დირექტორი:*

–პირველი საერთაშორისო ყოველწლიური საბავშვო მხატვრობის ფესტივალი ჰონგ-კონგში 2012-2013 წლებში ტარდება. ამ ფესტივალის მიზანია გააძლიეროს საერთაშორისო ხელოვნება და ხელი შეუწყოს კულტურის განვითარებას. მისი მთავარი მიზანია ბავშვებს მისცეს შესაძლებლობა გააცნონ ერთმანეთს სამხატვრო გამოცდილება და გამოხატონ თავიანთი კრეატიულობა წარმატების მეშვეობით. როგორც მოგვწერეს ფესტივალის თემაა „ჩემი ქვეყნის კულტურა.“

–რა კატეგორიაა მიწვეული ამ კონკურსში?

–მათ მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიწვეული ჰყავთ შერჩეული სამხატვრო სკოლები და სამხატვრო ინსტიტუტები. მონაწილის ასაკი 4-დან 18 წლამდეა. პირველ ეტაპზე, იგზავნება არანაკლებ 20 ნახატი. შემდეგ კი, სპეციალური ჟიური შეარჩევს 20 საუკეთესო სკოლას, (12 წლამდე ბავშვები II ტურში არ მონაწილეობენ), და ისინი მომავალი წლის ზაფხულის ბოლოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გაემგზავრებიან. II რაუნდის მონაწილეები ჰონგ-კონგის თემაზე ადგილზე შექმნიან ნამუშევრებს. მათ საგამოფენო კომიტეტი დააფინანსებს. გამოვლინდებიან გამარჯვებულები.

ნინო გორდელაძე

–როგორ მოემზადეთ ამ ფესტივალისთვის?

– საინტერესო ნამუშევრები შექმნეს სკოლის მოსწავლეებმა. 24 მოსწავლის 27 ნამუშევარი იგზავნება ჰონგ-კონგში. წარმატების იმედი გვაქვს.

ლილე სიხარულიძე


ირაკლი დარჩია

ირაკლი ტულუში შავი ქამარი III დანის მფლობელია

ოზურგეთის სასპორტო სკოლის ტაეკვონ-დოს მწვრთნელმა ირაკლი ტულუშმა ქ. ბათუმში ჩაბარა გამოცდა კარატე „საიოკანში,“ საქართველოს საიოკანის ფედერაციის პრეზიდენტს ფაიგ მამედოვს(შავი ქამარი IV დანი).

ბათუმში ირაკლიმ 4-საათიანი გამოცდა წარმატებით გაიარა და 21 ოქტომბერს ქ. თბილისში კავკასიის ჩემპიონატზე ტაეკვონ-დოში მას საზეიმოდ გადასცა ფაიგ მამედოვმა შავი ქამარი და III დანის სერთიფიკატი, მსოფლიო ლიცენზია, კარატე საიოკანის ფორმა და შეფუთული შავი ქამარი (III დანის ხარისხი).

კარატე საიოკანი სრული კონტაქტური სტილია და იგი იაპონური სტილიდან „აშიჰარადან“ წარმოიშვა. მასში ბრძოლის სამი სტილია: პირველი კონტაქტური კარატე, მეორე–კ-1 და მესამე –მ-1 ბრძოლა წესების გარეშე.

აქ ძირითადად შეჯიბრი კონტაქტური კარატეს სტილით მიმდინარეობს და იგი გავრცელებულია მსოფლიოს 32 ქვეყანაში, როგორებიცია აშშ, ინგლისი, გერმანია, ბელგია და ა.შ.

კონტაქტურ კარატეში იმართება ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატები. იმედია, ამ სახეობაშიც ოზურგეთელი სპორტსმენები იტყვიან თავიანთ სიტყვას.

როსტომ მელაშვილის ხსოვნის ტურნირზე

ქ. ქობულეთში ჩატარად საერთასორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ქალაქებისა და რეგიონების 11 და აზერბაიჯანის გუნდი.

ოზურგეთის სასპორტო სკოლის აღზრდილებმა შემდეგი შედეგი აჩვენეს:

46 და 54 კგ. წონით კატეგორიაში ჩემპიონები გახდნენ რევაზ ბორჩხაძე და გია გორგაძე.

54 და 76 კგ. წონით კატეგორიაში II იყვნენ ზურაბ ირემაძე და ედვარდ ღლონტი.

42 და 46 კგ. წონით კატეგორიაში III ადგილი დაიკავეს შოთა სალარიძემ და ერეკლე ბაბილოძემ.

გუნდი დავით მაჭარაშვილმა მოამზადა.

გიწვევთ სილამაზის სალონი „ელიტა“

სილამაზის სალონ „ელიტაში,“(ქ. ოზურგეთი, აპ. წულაძის ქ. №10) გაიხსნა კოსმეტოლოგისა და სამასაჟო კაბინეტი.

გთავაზობთ ქალისა და მამაკაცის საერთო და კლასიკურ მასაჟს, სქოლიოზით, ოსტეოქონდროზით, კიფოზით დაავადებულთათვის, აგრეთვე ცელულიტის (გასახდომ) აღმოსავლურ წერტილოვან, მანეალური თერაპიის და ბავშვთა მასაჟს 1 წლის ასაკიდან.

კოსმეტოლოგიურ კაბინეტში ჩაიტარებთ ყველა სახის კოსმეტოლოგიურ პროცედურებს, მათ შორის ელექტროეპილაციას, ბიოეპილაციას და სხვა კოსმეტოლოგიურ მომსახურებას.

მოგემსახურებათ სერთიფიცირებული, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

მოგრძანდით, კმაყოფილი დარჩებით.

სილამაზის სალონი „ელიტა.“
მობ. (599) 17 54 45.

ეძღვნება თორნიკე თოიძეს

31 ოქტომბრის ღამეს
წვიმის წვეთები ასველებს ფანჯრებს,
აი, გახდება პირველი მალე,
ხვალ გაანათებს ნოემბრის მთვარე.
უცებ გაჩერდა წვიმის წვეთები,
გარეთ გამოჩნდა მათი სვეტები,
ბუნება ხარობს თავგამეტებით,
ქალი ღმერთს მადლობს ტკბილი
ვედრებით.
იმ ღამეს გაჩნდა ნანატრი ვაჟი,
თეთრი, პუტკუნა, ლამაზი ბავშვი,
მალე გავრცელდა მომხდარი ხალხში
დაბადებულა თორნიკე მაშინ.
წუთები წამებს ტოლს არ უდებდა,
ზამთრის სტიქია სახლებს უტევდა,
თბილ ოთახში მყოფ უსუსურ ბავშვს კი,
დედიკო ჩუმად ნანას უმღერდა.
დრო გადიოდა, ის იზრდებოდა,
მაგრამ დედამისს არ სცილდებოდა,
უკან დასდევდა, ეფერებოდა,
ეზოსთან მოსულს ეგებებოდა.
მას არ სჩვეოდა დაცინვა, ბოღმა,
იყო ყოველთვის თბილი ბუნების,
გაბრაზებული მე არ მინახავს,
მუდამ მხვდებოდა კარგი გუნებით.
ხომ არსებობენ ერთეულები,
ვინც მუდამ თესენ ყოველგვარ წმიდას,
ასეთი იყო ჩვენი თორნიკე
რადგან ბოროტსაც კეთილად ქმნიდა.
ასე ცხოვრობდა სულ სიყვარულით,
თესდა სიკეთეს, ხარობდა კარგით,
სანამ ერთ დღესაც ეს სიხარული
არ შეიცვალა ძლიერი დარდით.
28 იდგა, ორშაბათ დილა,
სექტემბრის შუქმა ანათა ბინა,
უცებ დაბნელდა ყოველი მინა,
ცაში აფრინდა სული მთლად წმინდა.
მსწრაფლ მოიღრუბლა, მზე ქვეშ მოექცა,
მთელი სამყარო გლოვამ მოიცვა,
წვიმისგან ლამის ცა ჩამოიქცა,
დედის ცრემლები ზღვად გადაიქცა.
ახლა ღამეა, ზეცა კაშკაშებს,
დრო მოუნახავს ამ ანც ვარსკვლავებს,
მაგრამ იქ ერთი, ყველაზე დიდი
გამორჩეული შუქით ანათებს.
ეს თორნიკეა და მე ის ვიცი,
ანგელოზია პატარა ბიჭი,
დედას ევლება სულ მისი ფიქრი,
ის მის გვერდზეა და არსად მიჰქრის.
ადრე თუ გვიან ყველა მოკვდებით,
ყველანი ერთად ცაში მოვხდებით,
ან სამოთხეში, ანაც მორევში,
ეს იზომება ჩვენი ცოდვებით.
ადრე სიკვდილი რჩეულთ ხვედრია,
მათი მისია ცაში ბევრია,
ვინც ცხოვრებაში უცოდველია
უდროოდ წასვლა მისთვის ძღვენია.
არავინ იცის რაა სიცოცხლე,
იქნებ, არცა ღირს ჩვენ ეს ვიცოდეთ
მთავარი არის როგორ ვიცხოვრებთ
რომ, როცა წავალთ, სული გვიცხონდეს!

ლიკა გოგუაძე

მუხრან ვახტანგაძის ტურნირზე

ქ. ბათუმში მსოფლიო ჭიდაობის ფედერაციის ეგიდით ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონის მუხრან ვახტანგაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. ტურნირში მონაწილეობდნენ საქართველოს, აზერბაიჯანის, თურქეთის, სომხეთის, ინდოეთის ნაკრები გუნდები.

ამ ტურნირში ოზურგეთელმა მოჭიდავეებმაც მიიღეს მონაწილეობა და წარმატებასაც მიაღწიეს.

მძიმე წონაში ჩემპიონი ლიხაურის საჭიდაო სკოლის აღზრდილი სამუკა დარჩია გახდა; 55 და 60 კგ. წონით კატეგორიებში III ადგილები დაიკავეს ასევე ამ სკოლის აღზრდილებმა ლევან ქავჟარაძემ და გიორგი ჯაფარიძემ (მწვრთნელი ალექსანდრე ბოლქვაძე).

50 კგ. წონით კატეგორიაში II ადგილი იური ლომაძემ დაიკავა (მწ. ძმები ზურაბიანები); ხოლო III ზურაბ რამიშვილმა და გიორგი დარჩიამ დაიკავეს (მწ. გურამ მაჭარაშვილი).

მიხეილ სალაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე

ქ. თბილისში ჩატარდა მიხეილ სალაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის მოჭიდავეები.

ოზურგეთის სპორტსკოლის მოჭიდავეებმა ამ ტურნირზე 2 მეორე და 6 მესამე ადგილი მოიპოვეს.

58 და 76 კგ. წონით კატეგორიაში II ადგილებზე გავიდნენ ლევან ქავჟარაძე და ალექსი ლოდია (მწ. ალექსანდრე ბოლქვაძე, თენგიზ მუჯირი).

50, 54, 58, 76, კგ. წონით კატეგორიაში III ადგილზე გავიდნენ იური ლომაძე, დათო ბაკურაძე, გოგა ლომჯარია, გიორგი გუჯაბიძე, ვასილ თავბერიძე (მწ. ზურაბ, ირაკლი ზურაბიანები, დავით მელუა).

85 კგ. წონით კატეგორიაში ასევე III იყო ზურაბ ჯიშკარიანი (მწ. გურამ მაჭარაშვილი).

ქ. ოზურგეთის №1 საშუალო სკოლის 1972 წლის X-ბ კლასის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ ციცო ჩანტლაძეს დედის **ლამარა გორდელაძის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი **ნუგზარ ასათიანი**
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru